

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”**

**ადმასრულებელი საბჭოს სხდომის**

**ოქმი**

**7 თებერვალი, 2012წ.**

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

**სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, ცისმარი ონიანი, იმედა დვალიძე, ბესო აბაშიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, ქეთევან ბექაური**

**დღის წესრიგი:**

1. ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;
3. 2012 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის რეგისტრაციის (5.03.12-23.03.12) და გამოცდების თარიღების (20-21-22.06.12) დამტკიცება;
4. 2012-2013 წლის ასოციაციის განვითარების თაობაზე ბაკურიანში გასვლით შეხვედრაზე ჩამოყალიბებული სტრატეგიის შესახებ საბჭოს წევრების წინადადებების მოსმენა;
5. საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა (ასოციაციის წევრთა) გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
6. თავმჯდომარის ინიციატივა: განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო ტრენინგების გავლის ვალდებულებისაგან ადმასრულებელი საბჭოს, სარევიზიო კომისიის წევრების, ასევე, თავმჯდომარის თანაშემწის გათავისუფლების შესახებ;
7. ჟურნალ “ადვოკატის” სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :**

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით;

ა). საქართველოს კანონის კანონის მე-10 მუხლის, 1 პუნქტის, “გ” ქვეპუნქტის (აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი) თანახმად, **ზაქარია ენდელაძეს** უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წერილობით.

ბ). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, მე-10 მუხლის, 1 პუნქტის, “გ” ქვეპუნქტის (აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი) თანახმად, **შორენა მუმლაძეს** უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წერილობით.

გ). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, მე-10 მუხლის, 1 პუნქტის, “გ” ქვეპუნქტის (აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი) თანახმად, **ჟანა ჩიქოვანს** უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წერილობით.

2. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაზე შეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე;

3. საგაზაფხულო საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის რეგისტრაციის თარიღებად დადგინდეს მიმდინარე წლის 5-23 მარტი და გამოცდები ჩატარდეს მიმდინარე წლის 20,21,22 ივნისს.

4. 2012 წლის 15 თებერვალს დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა ასოციაციის წევრთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად:

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება არის – ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა № 36, ტელ: 790 22-46-54. 2 22 46 54:

ა) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2012 წლის 15 თებერვალი; ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100-ე მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად 75 (სამოცდათხუთმეტი) კალენდარული დღე.

ბ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - საწევრო გადაუხდელ ადვოკატთა უფლებამოსილების შეწყვეტა; (“ადვოკატთა შესახებ” კანონის 21<sup>3</sup> მუხლის 1 პუნქტის “ზ”- ქვეპუნქტი)

გ) წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც ერიცხებათ საწევრო დავალიანება, გამოქვეყნდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ- გვერდზე - [www.gba.ge](http://www.gba.ge), გაზეთში “24 საათი”; საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ SMS შეტყობინებები მათ მიერ ასოციაციასში წარმოდგენილ სატელეფონო ნომრებზე.

ასევე, ადვოკატებს მიეცეთ შესაძლებლობა გაეცნონ საწევრო დავალიანების სიას ადვოკატთა ასოციაციის ოფისში.

- დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 პუნქტის “დ” – ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულ პირთა საკუთარი მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადა დასრულდეს 2012 წლის 15 მარტს.
- ე) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100-ე მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2012 წლის 8 მაისი.
- ვ) “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” წევრი ადვოკატების მიმართ საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო, მათი წევრობის შეწყვეტის მიზნით დაზუსტდეს საწევროდავალიანების მქონე პირთა სიები 2012 წლის 15 თებერვლამდე.

5. გათავისუფლდეს ასოციაციის თავმჯდომარე სავალდებულო ტრენინგების გავლის ვალდებულებისაგან, ხოლო ყველა სხვა ორგანოს წარმომადგენლები დადგენილი წესით გაივლიან განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამით განსაზღვრულ სავალდებულო ტრენინგების კურსს.

6. ჟურნალ “ადვოკატი” სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა დამტკიცდეს სხდომაზე დასახელებული კანდიდატების სახით: **ზვიად კორძაძე (რედაქტორი), იოსებ ბარათაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, პაატა ტურაგა, მინდია უგრეხელიძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ინგა თოდრია, ირაკლი კორძახია, ზაზა რუხაძე, აკაკი ჩარგეიშვილი, ჯეიმს მოლიტერნო, ნინო გვენეტაძე, მაკა კვაჭაძე.**

7. შემუშავებული და დამტკიცებულ იქნას სტაჟიორთა რეგისტრაციის ფორმა; ამოქმედდეს საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ მე-16 მუხლის, 1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო იღებს გადაწყვეტილებას პირის სტაჟიორად გამწესების შესახებ და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 5 დღისა, აცნობებს ადვოკატთა ასოციაციას. იმ შემთხვევაში, თუ ცნობა წარმოდგენილი იქნება 5 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, სტაჟირების კურსის ვადის ათვლა დაიწყოს ასოციაციაში ცნობის წარმოდგენის დღიდან. მათ, ვისაც არ ექნებათ წარმოდგენილი შესაბამისი ცნობა მითითებულ ვადაში, არ ჩაეთვლებათ გავლილი სტაჟირების კურსი შრომით სტაჟში. ინფორმაცია გაეგზავნოს ადვოკატებს.

**ზაზა ხატიაშვილი**

ასოციაციის თავმჯდომარე